

შინაარსი

საზოგადოება და დემოკრატია

ნია ბაღრიძე
ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეფორმა **2**

ეკონომიკა, ფინანსები და სოციალური პოლიტიკა

გრიგოლ შანცულაია, კოტე ბარათაშვილი
კრივატიზაცია და მისი მიმდინარეობა საქართველოში **8**

ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეფორმა

ცენტრმა გაზეთ „რეზონანსში“ (1997 წ. 24 ოქტომბერი) გამოაქვეყნა სტატია „საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეფორმა და მოსახლეობის უფლებები“. ნაშრომი საზოგადოების ფართო ფენებს აწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა სახის სამედიცინო მომსახურების აღმოჩენას ითვალისწინებს სახელმწიფო სამედიცინო რეფორმა მოსახლეობისათვის. ამ სტატიაში კი შევეცადეთ, გადმოგვეცა ჩვენი მოსაზრებები ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეფორმის მიმდინარეობისა და მისი დადებითი თუ უარყოფითი მხარეების შესახებ.

1995 წლისათვის საქართველოში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა და სოციალურმა მდგომარეობამ, ეკონომიკურმა ცვლილებებმა აუცილებელი გახადა ჯანდაცვის სისტემის ძირეული შეცვლა. არსებულ სიტუაციაში უკანასკნელი ბოლო ხუთი-შვიდი წლის განმავლობაში რამოდენიმე ათეულჯერ შემცირდა სახელმწიფოს მიერ სამედიცინო დახმარებისათვის გამოყოფილი თანხების რაოდენობა, რამაც კრიზისამდე მიიყვანა ჯანმრთელობის დაცვის სისტემა და პრაქტიკულად შეუძლებელი გახადა საბჭოურ მოდელზე აგებული საყოველთაო, უფასო სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა. სამედიცინო რეფორმა სასიცოცხლო აუცილებლობად იქცა დარგის არა მარტო შემდგომი განვითარების, არამედ უპირველეს ყოვლისა მისი გადარჩენისათვის.

1995 წლის 5 ივლისის №269 ბრძანებულების „საბაზრო ეკონომიკის პროგრამებში ჯანდაცვის სისტემის სრულყოფის დამატებითი ღონისძიებების შესახებ“ და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 30 ივნისის №388; 389; 390; 391; 398; 399 დადგენილებების საფუძველზე, იმავე წლის 10 აგვისტოდან საქართველოში დაიწყო ჯანდაცვის სისტემის რეორიენტაცია, რომლის მიმდინარეობა ოთხ ეტაპად განისაზღვრა.

სამედიცინო დარგის რეორიენტაციის I ეტაპზე, რომელიც 1997 წლის თებერვლამდე გრძელდებოდა მოხდა უფასო სამედიცინო მომსახურების ფასიანზე გადასვლა. ამ დროისათვის მოსახლეობა ეკონომიურად არ იყო მომზადებული ჯანდაცვის უფასო სისტემიდან ფასიანზე ყოველგვარი შემზადების გარეშე გადასვლისათვის. მოსახლეობის უმეტეს ნაწილს მატერიალური მდგომარეობა არ აძლევდა საშუალებას ყოველგვარი სამედიცინო დახმარებისათვის საფასური გადაეხადა. თავის მხრივ, ამ გარემოებამ სამედიცინო დაწესებულებებში პაციენტების მიმართვის ძლიერი შემცირება გამოიწვია; გახშირდა ავადმყოფების ექიმთან სახლში ვიზიტებისა და თვითმკურნალობის ფაქტები, მრავალი პაციენტი საბოლოოდ უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მიმართავდა საავადმყოფოებს. იმატა ინფექციური დაავადებების მქონე ავადმყოფთა რიცხვმაც. შექმნილმა მძიმე რეალობამ გამოიწვია მოსახლეობის უარყოფითი დამოკიდებულება სამედიცინო რეფორმისადმი.

1997 წლის 15 თებერვლიდან დაიწყო ჯანდაცვის სისტემის რეორიენტაციის II ეტაპი, რომელიც 1997 წლის 1 მაისამდე მიმდინარეობდა. ამ პერიოდში პირველ ეტაპზე შექმნილი გამოცდილების საფუ-

ძველზე, დაგროვილი მატერიალური და ფინანსური რესურსების გათვალისწინებით დაიგეგმა სახელმწიფო დაფინანსების ახალი პროგრამები, შემუშავდა სამედიცინო მომსახურების სადაზღვევო სანყისებზე გადაყვანის გეგმა და სხვა.

1997 წლის 1 მაისიდან დაიწყო რეორიენტაციის III ეტაპი, რომელიც 1998 წლის ბოლომდე გაგრძელდება. ამ პერიოდში განხორციელდება მეორე ეტაპზე შემუშავებული პროგრამები.

მესამე ეტაპზე გარკვეულწილად შეამსუბუქა მოსახლეობის მდგომარეობა. ფუნქციონირება დაიწყო ისეთმა სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამებმა, როგორცაა „უსაფრთხო დედობის“, „0-1 წლის ასაკის ბავშვების სამედიცინო დახმარების“, „დიაბეტიან ავადმყოფთა მკურნალობის“ და სხვა. მათი უმეტესობა მთლიანად სახელმწიფო დაფინანსებაზეა. ასევე მიმდინარეობს სამედიცინო პროფილაქტიკის, სავალდებულო მუნიციპალური და სხვა ჯანდაცვითი პროგრამები, რომლებიც ნაწილობრივ ფინანსდება სახელმწიფოს მიერ.

1999-2000 წლებში გატარდება IV ეტაპი, რომლის დროსაც განვლილ ეტაპებზე შექმნილი გამოცდილების საფუძველზე მოხდება რეფორმაში ცვლილებების შეტანა და მისი სრული აღდგენა საქართველოს რეალობასთან.

ქვეყანაში ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესებამ სახელმწიფოს საშუალება მისცა 1997 წელს ჯანდაცვის სისტემისათვის გამოეყო დაახლოებით 80 მლნ. ლარის ოდენობის თანხა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება წინა წლებში გამოყოფილ თანხას (1995 წელს ჯანდაცვისათვის მხოლოდ 4,5 მლნ ლარი იყო გამოყოფილი). ეკონომიკურ ზრდასთან ერთად შესაბამისად მოიმატა მოსახლეობის სამედიცინო დახმარებისათვის გამოყოფილმა თანხებმა. იმავედროულად სახელმწიფოში გაიზარდა სადაზღვევო პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობა.

ჯანდაცვის სისტემის რეორიენტაციის 1997 წლის პროგრამები ითვალისწინებს საქართველოს მთელი მოსახლეობის მომსახურებას. შექმნილია სპეციალური პროგრამები სოციალურად დაუცველი ფენებისათვის (უმწიფეები, მშობიარეები, ერთ წლამდე ასაკის ბავშვები, ომის ინვალიდები და სხვა) დამატებითი პრივილეგიების უზრუნველსაყოფად.

ჯანდაცვის 1997 წლის პროგრამები გათვალისწინებულია როგორც სოციალურად დაუცველი ფენებისათვის, ასევე საქართველოს მთელი მოსახლეობისათვის.

რეფორმა მოიცავს:

I. ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებს:

- ა) სამედიცინო პროფილაქტიკის;
- ბ) სახელმწიფო სადაზღვევო;
- გ) ჯანდაცვითი პროგრამები;

II. სავალდებულო მუნიციპალურ პროგრამებს.

სახელმწიფო პროგრამების შესრულებაზე პასუხისმგებელია თავად სახელმწიფო, ხოლო მუნიციპალურ პროგრამებზე - ადგილობრივი მმართველობის ორგანოები.

სამწუხაროდ, მოსახლეობის დიდ ნაწილს არ გააჩნია ინფორმაცია რეორიენტაციის შესახებ, რის გამოც მიმდინარე რეფორმა ხშირ შემთხვევაში ფასიან მომსახურებაზე გადასვლასთანაა გაიკვირებული. დღეისათვის პაციენტის მკურნალობის, ჩატარებული სამედიცინო გამოკვლევების და საჭირო მედიკამენტებით უზრუნველყოფის ფასის გათვალისწინებით 1700-მდე დაავადებისათვის დადგენილია გადასახადის სტანდარტი. სტანდარტებით გათვალისწინებულ დაავადებათა მკურნალობის საფასურს მთლიანად ან ნაწილობრივ ფარავს სახელმწიფო.

მოსახლეობის ინფორმირება რეფორმის წარმატებით განხორციელების აუცილებელი პირობაა.

რეფორმის წარმატებით განხორციელებისა და მის შესახებ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისათვის საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს მოსახლეობის აქტიურ ინფორმირებას მათი უფლებების შესახებ პრესის, რადიოს, ტელევიზიის, სამახსოვრო ბუკლეტების საშუალებით. ასევე კონკრეტული ინფორმაცია უნდა ქვეყნდებოდეს ცალკეული პროგრამით გათვალისწინებული უფასო (ან თანაგადასახადით) დახმარებისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების შესახებ, რომელთაც პროგრამის ფარგლებში შეუძლია მიმართოს მოქალაქემ.

სამედიცინო დაწესებულებებისათვის რეფორმით მინიჭებული გარკვეული ავტონომია თითოეულ სტაციონარსა თუ ამბულატორიას აძლევს უფლებას შიდა სტანდარტებით დაანესოს გადასახადი იმ დაავადებებზე, რომელთათვისაც სტანდარტი სახელმწიფოს არ დაუდგენია. ეს გარემოება იწვევს ერთი პროფილის დაწესებულებებს შორის კონკურენციის ზრდას, რაც იმედს იძლევა, რომ დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდება ძლიერი ბირთვი, რომელიც შეძლებს შედარებით ხელსაყრელ ფასებში მოსახლეობის მაღალკვალიფიციურ მომსახურებას.

სამედიცინო დაწესებულებებს შორის ჯანსაღი კონკურენცია მაღალკვალიფიციური მომსახურებისა და ფასების სტაბილიზაციის წინაპირობაა.

სამედიცინო დაწესებულების კვალიფიკაცია თავის მხრივ დიდადაა დამოკიდებული დაწესებულების ხელმძღვანელობაზე. სამწუხაროდ, სამედიცინო რეფორმა არ ითვალისწინებს ადმინისტრაციული აპარატის, კერძოდ, მთავარი ექიმის დანიშვნის მექა-

ნიზმს.

ეს საკითხი აუცილებლად უნდა დარეგულირდეს რეფორმის მიმდინარეობის პროცესში, რადგანაც სამედიცინო დაწესებულებებში რეფორმის გატარება ძლიერ არის დამოკიდებული მთავარ ექიმსა და მართვის სისტემაზე.

დღესდღეობით, მთავარი ექიმის დანიშვნა ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ხდება.

ჩვენი აზრით, სასურველია, რომ რეფორმით გათვალისწინებული იყოს სპეციალური პუნქტი, რომლის მიხედვითაც მთავარი ექიმის დანიშვნას უნდა წყვეტდეს სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი სამედიცინო საბჭო. ამ უკანსკენლის შემადგენლობა არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ჯანდაცვის სამინისტროს თანამშრომლებით და მასში ასევე უნდა შედიოდნენ იმ სხვა უწყებათა წარმომადგენლები, რომელთაც უშუალო კავშირი აქვთ სამედიცინო სფეროსთან. უმჯობესი იქნება, რომ რამოდენიმე წამოყენებული კანდიდატურიდან, მთავარი ექიმის შერჩევა და დანიშვნა ხდებოდეს მათ მიერ საბჭოსადმი განსახილველად წარდგენილი პროგრამების საფუძველზე. საბჭოს მიერ აგრეთვე უნდა განისაზღვროს არჩეული მთავარი ექიმის თანამდებობაზე ყოფნის ვადაც, რომლის განმავლობაშიც მას მიენიჭება სრული თავისუფლება დაქვემდებარებაში მყოფ სამედიცინო დაწესებულებაში რიგი ცვლილებების გასატარებლად.

ამასთანავე, საჭიროა მთავარი ექიმი იყოს ანგარიშვალდებული და პერიოდულად საბჭოს წევრებს წარუდგოს ჩატარებული სამუშაოს შედეგები. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ საჭიროა სამედიცინო საბჭოს მიერ მოხდეს ჩატარებული სამუშაოს ანალიზი და შეფასება. დამაკმაყოფილებელი შედეგების მიღების შემთხვევაში შესაძლებელი უნდა იყოს დანიშნული მთავარი ექიმის დატოვება აღნიშნულ თანამდებობაზე; ხოლო მუშაობის არაღამაკმაყოფილებლად შეფასების შემთხვევაში კი - ახალი კანდიდატურის იგივე მექანიზმით დანიშვნა. სავარაუდოა, რომ ამგვარი სისტემა ხელს შეუწყობს მმართველობითი პრობლემის მოგვარებასა და შესაბამისად, რეფორმის ეფექტურ განხორციელებას.

ცალკეული პროგრამები

სამედიცინო პროფილაქტიკის პროგრამები

სამედიცინო პროფილაქტიკის პროგრამის კოორდინატორია ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ბატონი რ. ურუშაძე.

პროფილაქტიკის პროგრამის სათანადო დონეზე წარმართვა ერთის მხრივ, მოსახლეობის ავადობის პროცენტული მაჩვენებლის შემცირების, ხოლო მეორეს მხრივ, ცალკეული დაავადებების მკურნალობაზე გამოყოფილი თანხების დაზოგვის ერთ-ერთი წინაპირობაა.

სამედიცინო პროფილაქტიკის პროგრამა მოიცავს: მოსახლეობის იმუნოზაციის, საკარანტინო, განსაკუთრებით საშიში და მასთან გათანაბრებული ინფექციების, სქესობრივი გზით გადამდები დაავა-

დებების, შიდსთან ბრძოლის, უსაფრთხო სისხლის, ენდემური ჩიყვის პროფილაქტიკის პროგრამებს.

იმუნიზაციის პროგრამის საშუალებით საქართველოში პირველად დაინერგა ბავშვების B ჰეპატიტი აცრა.

იმუნიზაციის პროგრამა ითვალისწინებს საქართველოში მცხოვრები ყველა ბავშვის აცრას მართვად ინფექციებზე. აღსანიშნავია, რომ ამ პროგრამით საქართველოში პირველად დაინერგა ბავშვების B ჰეპატიტიზე აცრა. სავარაუდოა, რომ ეს გარემოება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ამ ვირუსით გამოწვეულ დაავადებათა მაჩვენებლების შემცირებას. რაც შეეხება მოზრდილებს, განურჩევლად ყველა აიცრება ეპიდემიების არსებობის, ან მისი გავრცელების საშიშროების შემთხვევაში. პროგრამით გათვალისწინებულია ვაქცინისა და აცრის საფასური, რომელიც პროფილაქტიკური პროგრამის ფონდებიდან ფინანსდება, ხოლო აცრის შესახებ ექიმის კონსულტაციის საფასური მუნიციპალური პროგრამის სახსრებით იფარება.

ჩვენი აზრით, ეფექტური კოორდინაციის მიზნით, უმჯობესი იქნება ვაქცინაციის თაობაზე ექიმის კონსულტაცია იმუნიზაციის პროგრამითვე ფინანსდებოდეს. ეს გარემოება პროგრამას უფრო სრულყოფილ სახეს შესძენს და გააადვილებს მთლიანი სურათის წარმოსახვას.

პროფილაქტიკური აცრების ჩატარების უკეთ გააზრების მიზნით სასურველია მოხდეს მოსახლეობის ხშირი ინფორმირება იმუნიზაციის მნიშვნელობის შესახებ. სამწუხაროდ, მოსახლეობის გარკვეული ნაწილს ბოლომდე არ აქვს გაცნობიერებული სავალდებულო აცრების მნიშვნელობა, რაც ხელს უშლის იმუნიზაციის ფენის შექმნას.

განსაკუთრებით საშიში ინფექციების პროფილაქტიკის პროგრამა ეპიდემიათა გავრცელების თავიდან აცილების მიზნით ითვალისწინებს მეთვალყურეობას ყველა საშიშ და მასთან გათანაბრებულ ინფექციებზე (შავი ჭირის, მალარიის, და სხვა საშიში დაავადებების ენდემურ კერებზე). ყურადსაღებია, რომ პროგრამა უფასო გამოკვლევების ჩატარებით უზრუნველყოფს იმ პირებს, რომელნიც ახლო კონტაქტში იმყოფებიან განსაკუთრებით საშიში ან მასთან გათანაბრებული ინფექციით დაავადებულ პირთან. ინფექციის მატარებლობის შემთხვევაში ავადმყოფს უტარდება სანაცია, რაც, თავის მხრივ, ფრიად მნიშვნელოვანია ეპიდემიების ლიკვიდირებისათვის.

ამ პროგრამის განხორციელების შემაფერხებელი ფაქტორია ინფექციურ საავადმყოფოთა ფასიანი მომსახურება. ავადმყოფი ხშირ შემთხვევაში არ გადის სტაციონარული მკურნალობის სრულ კურსს და შესაბამისად, წარმოადგენს რა ინფექციის წყაროს, ხელს უწყობს მის გავრცელებას.

ინფექციის ლიკვიდირების კლიარ ხელისშეწყობა ფაქტორს წარმოადგენს გადახდისუნარიანობის გამო პაციენტთა არასრული მკურნალობა.

ასევე პროფილაქტიკური პროგრამის ეგიდით ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში შემუშავებული „სისხლისა და სისხლის პროდუქტების გადასხმით გადამდებ ინფექციებზე უსაფრთხოების“ ფედერალური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს დონორთა სისხლის უფასო გამოკვლევას

ინფექცია შიდსზე, B და C ჰეპატიტიზე და სიფილისზე. მიგვაჩნია, რომ იგი ჯანდაცვის დარგში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროგრამაა და შეიძლება, ითქვას ჯანდაცვის სისტემის რეფორმის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარია. ამ პროგრამას უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს ის ფაქტი, რომ საქართველოში პირველად ხდება C ჰეპატიტის ლაბორატორიული დიაგნოსტიკის მეთოდების შემუშავება და დანერგვა. პროგრამის მიხედვით ხორციელდება ყველა დონორის უფასო გამოკვლევა ზემოთ ჩამოთვლილ ინფექციებზე.

პროფილაქტიკური პროგრამა მოიცავს ენდემური ჩიყვის პროფილაქტიკასაც. მისი შექმნის აუცილებლობა განპირობებულია საქართველოში ენდემური ჩიყვით დაავადებულთა რიცხვის გაზრდით. ჩიყვით დაავადებულებს უტარდებათ უფასო გამოკვლევა-მკურნალობა.

სახელმწიფო სამედიცინო სადაზღვევო პროგრამები

სახელმწიფო სამედიცინო სადაზღვევო პროგრამები რეფორმის მიმდინარეობის პროცესში ჩამოყალიბდა. რეფორმის ეს მიმართულება ითვალისწინებს მოსახლეობის სადაზღვევო სამედიცინო მომსახურებას.

რეფორმით განსაზღვრულ სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამაში მონაწილეობს მრავალი სამედიცინო დაწესებულება. ხელშეკრულება დამკვეთსა (სადაზღვევო კომპანია) და შემსრულებელს (სამედიცინო დაწესებულება) შორის იდება ერთი წლის ვადით. ორივე მხარეს უფლება აქვს ხელშეკრულების პირობათა დარღვევის შემთხვევაში კონტრაქტი ვადაზე ადრე შეწყვიტოს.

სამედიცინო დაწესებულებას, რომელსაც სადაზღვევო კომპანია არ აუნაზღაურებს შესრულებულ სამუშაოზე დაწესებულ თანხას, უფლება აქვს, დაარღვიოს ხელშეკრულება. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში ჯერ არ ყოფილა მსგავსი შემთხვევა, უპრიანი იქნება ხელშეკრულება ითვალისწინებდეს გარკვეულ პირობებს, რათა ამგვარ ვითარებაში არ მოხდეს პაციენტის დაზარალება.

სადაზღვევო პროგრამები პირობითად ორ ნაწილად შეიძლება დავყოთ:

1. სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამები, რომელიც სარგებლობს ყველა მოქალაქე (ფსიქიატრია, ფტიზიატრია, ონკოლოგია).
2. სადაზღვევო პროგრამა, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენისათვის (უმწე-

ოები, ომის ინვალიდები, ფეხმძიმეები, 0-1 წლის ასაკის ბავშვები).

ცალკე უნდა აღინიშნოს „უსაფრთხო დედობის“ პროგრამა, რომლის განხორციელებასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს შობადობის საკმაოდ დაბალი მაჩვენებლის მქონე საქართველოს მოსახლეობისათვის.

„უსაფრთხო დედობის“ პროგრამის მიხედვით სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამის პოლისით სარგებლობის უფლება აქვთ მხოლოდ ქალთა კონსულტაციაში ორსულობის მე-13 კვირამდე აღიციხვაზე ასულ ფეხმძიმე ქალებს. პოლისით გათვალისწინებული სამედიცინო დახმარება დადგენილ სტანდარტებს შეესაბამება.

ვინეკოლოგთა რეკომენდაციით ფეხმძიმე ქალს მეან-ვინეკოლოგის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ყოფნა ფეხმძიმობის ბოლო პერიოდში ესაჭიროება, იმდენად რამდენადაც სწორედ ამ დროისათვის იჩენენ თავს პათოლოგიური პროცესები. სტანდარტი კი ექიმ-ვინეკოლოგთან ბოლო ვიზიტს 36-ე კვირაზე ითვალისწინებს.

ვკონებთ, უმჯობესი იქნება, თუკი სტანდარტი არ იქნება მკაცრად შეზღუდული გარკვეული ვადებით, რაც ჩვენის აზრით, მეან-ვინეკოლოგს მისცემს საშუალებას საჭიროების შემთხვევაში და არა ზუსტად დაწესებულ პერიოდში, ჩაუტაროს ორსულს სტანდარტით დადგენილი სამედიცინო დახმარება. ეს კი, თავის მხრივ უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარებისათვის ისეთ აუცილებელ პირობას, როგორცაა ყოველი პაციენტისადმი ინდივიდუალური მიდგომა.

„0-1 წლის ბავშვების სამედიცინო დახმარების“ პროგრამის, სადაზღვევო პოლისის აღება შეუძლია ყველა ახალშობილის მშობელს, იმ პირობით, თუ დაბადებიდან 10 დღის განმავლობაში რაიონულ პოლიკლინიკაში წარადგენს ე.წ. გაცვლა-გამოცვლის ბარათს. პოლისი ითვალისწინებს ერთ წლამდე ასაკის ბავშვების უფასო მკურნალობას გარკვეულ დაავადებებზე.

პროგრამით არ არის განსაზღვრული მკურნალობის გავრძელების მიზნით სამშობიაროდან პირდაპირ სტაციონარში გადაყვანილი ბავშვებისათვის პოლისის გაცემის მექანიზმი. ამ შემთხვევაში ახალშობილი ამბულატორიაშიაც არ აჰყავთ აღრიცხვაზე და შესაბამისად, არ ვასცემენ სადაზღვევო პოლისს. ასეთ გარემოებებში ახალშობილი პროგრამის ფარგლებს გარეთ რჩება და ვერ სარგებლობს კუთვნილი პრივილეგიებით.

რაც შეეხება უმწეოთა სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამას, მისი პრივილეგიებით სარგებლობის უფლება აქვთ მხოლოდ საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს მიერ უმწეოთა კატეგორიას მიკუთვნებულ პირებს.

უმწეოთა პოლისი გაიცემა წელიწადში ორჯერ ერთი კვირის განმავლობაში. შესაბამისად, პირი,

რომელიც ვარკვეული მიზეზების გამო დადგენილ ვადებში ვერ იღებს განკუთვნილ სადაზღვევო პო-

პოლისის გაცემის მკაცრად განსაზღვრული ვადები მრავალ უმწეოს დახმარების გარეშე ტოვებს.

ლისს, პროგრამში ვერ მონაწილეობს. ეს მექანიზმი პროგრამის გარეთ ტოვებს უმწეოთა დიდ ნაწილს, მითუმეტეს რომ, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, მოსახლეობის ინფორმირება რეფორმის შესახებ ამომწურავი არ არის. პოლისის გაცემისათვის დადგენილი ვადების გაზრდა კი გაცილებით ეფექტურს გახდის პროგრამას. მითუმეტეს, როდესაც ამგვარი ცვლილება რაიმე რთულ ტექნიკურ თუ ფინანსურ პრობლემასთან არ არის დაკავშირებული.

პოლისის მფლობელთა უკეთ მომსახურებისა და პროგრამის სრულყოფისათვის ურიგო არ იქნება დამატებითი მექანიზმების განსაზღვრა. მაგალითად, სადაზღვევო კომპანიასა და სასწრაფო დახმარებას შორის ხელშეკრულების გაფორმება პოლისის მფლობელებისათვის მუნიციპალური პროგრამით გაუთვალისწინებულ დაავადებებზე უფასო სასწრაფო დახმარების უზრუნველსაყოფად.

ჯანდაცვითი პროგრამები

რაც შეეხება ჯანდაცვით პროგრამებს, უნდა გამოიყოს ჰემოდიალიზის, კარდიოქირურგიის და დიაბეტით დაავადებული მოსახლეობის დახმარების პროგრამები.

ჰემოდიალიზის პროგრამაში მონაწილეობს ხუთი საავადმყოფო და იგი ითვალისწინებს რესპუბლიკის მასშტაბით 60 პაციენტის უფასო მომსახურებას. აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ პროგრამამ შესაძლებელი გახადა საავადმყოფოების უწყვეტი მომარაგება დიალიზატორებით, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მკურნალობის ეფექტური მიმდინარეობისათვის.

საქართველოში ჰემოდიალიზს ყოველ წლიურად დაახლოებით 100 ავადმყოფი საჭიროებს.

სამწუხაროდ, საქართველოში ჰემოდიალიზს ყოველ წლიურად დაახლოებით 100 ავადმყოფი საჭიროებს. პროგრამა კი მხოლოდ 60 პაციენტის მომსახურების საშუალებას იძლევა. ჰემოდიალიზის სენსების გარეშე ავადმყოფი ფაქტიურად განწირულია. ამდენად, ორმაგად მნიშვნელოვანი ხდება თუკი მომავალი წლიდან პროგრამის ბიუჯეტის ფონდის გაზრდა დანარჩენ 40 პაციენტსაც მდგომარეობის შემსუბუქების საშუალებას მისცემს, თუნდაც თანაგადახდის პრინციპის დანესებით.

უკეთესი მდგომარეობა ბავშვთა კარდიოქირურგიის პროგრამის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. პროგრამა ითვალისწინებს ერთ წლამდე ასაკის ბავშვების გულის თანდაყოლილი ანომალიების ოპერაციულ მკურნალობას. სახელმწიფოს მიერ პროგრამის

მისათვის გამოყოფილი თანხებით მთლიანად (100%) ფინანსდება სასწრაფო ოპერაციები, ხოლო გეგმიური ოპერაციების დროს 80%-ს იხდის სახელმწიფო, დარჩენილ 20%-ს - კი ავადმყოფის მშობელი. ასეთ პირობებში პროგრამით გათვალისწინებულ სამედიცინო დახმარებას იღებს განურჩევლად ყველა ბავშვი, რომელიც მას საჭიროებს.

ჯანდაცვით პროგრამას ეკუთვნის დიაბეტიან ავადმყოფთა ინსულინით მომარაგების პროგრამაც. გვინდა ავლნიშნოთ, რომ საკმაოდ ორგანიზებულად მიმდინარეობს დიაბეტიან ბავშვთა ინსულინით მომარაგება. 16 წლამდე ასაკის ბავშვებს ურიგდებათ დანიური ფირმის მაღალი ხარისხის ნოვო-ნორდიხის ადამიანის ინსულინი, ხოლო მოზრდილი ასაკის მოსახლეობას მიეწოდება ჩეხური ფირმის შედარებით დაბალი ხარისხის ინსულინი. *პრეპარატების შესყიდვის ასეთი მექანიზმი ავადმყოფს არჩევანის საშუალებას არ აძლევს და იძულებულს ხდის მოიხმაროს შედარებით დაბალი ხარისხის პრეპარატი, ან შეიძინოს მაღალი ხარისხის წამალი კომერციულ აფთიაქში.* ავადმყოფებისათვის გაცილებით სასარგებლო იქნება, შემოტანილი იქნას როგორც ჩეხური, ისე სხვა ფირმის უფრო მაღალი ხარისხის ინსულინი. ჩეხური პრეპარატი უსასყიდლოდ დარიგდეს, ხოლო უფრო მაღალი ხარისხის ინსულინზე დაწესდეს თანაგადასახადი ჩეხური ინსულინის საფასურთან განსხვავების ოდენობით. ამგვარად, მოსახლეობას საშუალება ექნება შედარებით იაფ ფასებში შეიძინოს მაღალი ხარისხის ინსულინი.

პროგრამის ეფექტურ მიმდინარეობას სიძნელებებს უქმნის რიგი ამბულატორიების უპასუხისმგებლო დამოკიდებულება. *ამბულატორიების გარკვეულ ნაწილს (განსაკუთრებით რაიონებში) არ ააქვს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემოტანილი ინსულინი, რის შედეგადაც უპირველეს ყოვლისა, პაციენტი ზარალდება. ასეთ შემთხვევაში პროგრამა არ ითვალისწინებს არანაირ დამცავ მექანიზმს და არ აწესებს არანაირ სანქციას პრეპარატის ვატანაზე პასუხისმგებელთა მიმართ. დაზარალებული კი კვლავ პაციენტი რჩება.*

მუნიციპალური პროგრამები

სამედიცინო რეფორმა ითვალისწინებს სავალდებულო მუნიციპალურ პროგრამებსაც, რომელთა განხორციელებაზე პასუხისმგებლობა ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს ეკისრებათ.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოები პროგრამის განხორციელების მიზნით აფორმებენ ხელშეკრულებებს რეგიონში არსებულ სტაციონარებსა და ამბულატორიებთან.

ამბულატორიული დახმარების პროგრამა ითვალისწინებს მოსახლეობისათვის გარკვეული მოცულობის უფასო სამედიცინო დახმარებას. რაც შეეხება სტაციონარული დახმარების პროგრამას, იგი თანაგა-

დახდის პრინციპზეა აგებული. ქ. თბილისში მცხოვრები მოზრდილი მოსახლეობა სტაციონარში მიღებული სამედიცინო დახმარებისას პროგრამით გათვალისწინებულ დაავადებებზე იხდის დანესებული თანხის 15%-ს, ხოლო 14 წლამდე ასაკის ბავშვები - 10%-ს.

პროგრამის ხარვეზი კვლავ მოსახლეობის არასრული ინფორმირებაა. პროგრამაში მონაწილე ამბულატორიებისა და სტაციონარული განყოფილებების დიდ ნაწილში არ არის გამოქვეყნებული ინფორმაცია პროგრამით გათვალისწინებული დაავადებებისა და პაციენტის მიერ დასაფარი თანხის შესახებ. ამ შემთხვევაში მოსახლეობის ინფორმირება კუთვნილი პრივილეგიების თაობაზე მხოლოდ მომუშავე პერსონალზეა დამოკიდებული.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს არ ააქვს საშუალება მკურნალობის საფასური გაილოს. ამიტომ მედიცინის მთლიანად სადაზღვევო პრინციპებზე გადასვლამდე პაციენტის უკიდურესად მძიმე მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით სასურველია თითოეულ საავადმყოფოში ამოქმედდეს როგორც ფასიანი, ისე უფასო მომსახურებაზე მყოფი განყოფილებები, სადაც ავადმყოფს გაენევა ყველა სახის დახმარება. მეორე შესაძლო გამოსავალია, ის რომ დედაქალაქის (და საერთოდ, სხვა რაიონული მნიშვნელობის ქალაქების) მუნიციპალურ პროგრამაში გათვალისწინებული იყოს ერთი, მთლიანად მუნიციპალურ დაფინანსებაზე არსებული საავადმყოფოს შექმნა.

მუნიციპალურ პროგრამებს მიეკუთვნება ანტირაბიული (ცოფის სანინალმდეგო აცრები) სამედიცინო დახმარების პროგრამაც, რომელიც ცოფის სანინალმდეგო აცრების ჩატარებას ითვალისწინებს. ვაქცინის ვარგისიანობაზე პასუხისმგებელია ვაქცინის დამამზადებელი ქარხანა, ხოლო ხილულ დაზიანებასა (შემღვრევა, ფერის შეცვლა და სხვა) თუ არასწორად ჩატარებულ ვაქცინაციაზე - ექიმი რაბიოლოგი.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს დადებული აქვს ხელშეკრულება სასწრაფო სამედიცინო დახმარებასთან. მუნიციპალიტეტი მთლიანად აფინანსებს ოთხ მდგომარეობას:

1. მასიური კატასტროფების დროს სასწრაფო დახმარებით უზრუნველყოფა;
2. ავტოსანტრანსპორტო შემთხვევის დროს სასწრაფო დახმარების აღმოჩენა;
3. გვამი (თუ ავადმყოფი გარდაიცვალა სასწრაფო დახმარების მისვლამდე, ოჯახი არ იხდის გამოძახების საფასურს);
4. თანდასწრებითი სიკვდილი.

თვრამეტ მდგომარეობაზე კი, რომელიც საფრთხეში აგდებს ადამიანის სიცოცხლეს, მოზრდილი მოსახლეობა იხდის გადასახადის 20%-ს (ორ ლარს), ხოლო 14 წლამდე ასაკის ბავშვი 10%-ს (ერთ ლარს), რაც თავისთავად მნიშვნელოვანი პრივილეგიაა მოსახლეობისათვის. დანარჩენ შემთხვევაში გამოძახების საფასური 12 ლარს შეადგენს. სასწრაფო დახმა-

რეზასთან დადებული ხელშეკრულება მოსახლეობას აძლევს საშუალებას მომსახურების შეღავათიანი ფასებით ისარგებლოს.

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მიმდინარე სამედიცინო რეფორმა მიუხედავად არსებული მცირე ხარვეზებისა, მაინც მაღალ დონეზე მიმდინარეობს. ჩვენ შევეცადეთ, გადმოგვეცა მოსაზრებები არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და მათი ალტერნატიული ვარიანტებით შე-

ცვლის შესახებ.

და ბოლოს, გვინდა დიდი მადლობა გადავუხადოთ ჯანდაცვის სამინისტროს, რეფორმათა განვითარების ცენტრსა და პროგრამის კოორდინატორებს მონოდებული ინფორმაციისათვის.

ნია ბაღრიძე
ექიმი-ეპიდემიოლოგი

პრივატიზაცია და მისი მიმდინარეობა საქართველოში

„სადაც არ არის კერძო საკუთრება, იქ არ არის სამართლიანობა.“
ჯონ ლოკი

საბაზრო ეკონომიკის ფორმირების, მუშაობის ეფექტურობის ამაღლების და კონკურენციის დამკვიდრების მნიშვნელოვან წინაპირობას კერძო საკუთრება წარმოადგენს. საქართველოში პრივატიზაციის დაწყების შემდეგ გარკვეული წარმატებებია მიღწეული, ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია, თუ საბოლოო მიზანი ქვეყნის კეთილდღეობა, უსაფრთხოება და დემოკრატიის დამკვიდრებაა. მაგრამ მიღწეულით შემოფარგვლა საკმარისი არ არის, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. საქართველო იყო და დარჩება აგრარულ ქვეყანად, ამიტომ ძალზედ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მიწაზე საკუთრების საკითხი.

მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემის პროცესს საფუძველი ჩაეყარა მთავრობის 1992 წლის დადგენილებით „მიწის პრივატიზაციის შესახებ“. შექმნა საპრივატიზაციო მიწის ფონდი 850 ათ. ჰექტარის ფართობით, რომლიდანაც:

- სოფლად მცხოვრებ იმ ოჯახებს, რომლებიც დასაქმებული იყვნენ სახელმწიფო და კოლექტიურ მეურნეობებში, უნდა გადასცემოდათ 1,25 ჰექტარი მიწა.
- ოჯახებს რომლებიც ცხოვრობდნენ სოფლად, მაგრამ არ იყვნენ დასაქმებული სასოფლო სამეურნეო სექტორში ეკუთვნოდათ 0,75 ჰექტარი.
- ქალაქად მცხოვრებ ოჯახებს შეეძლოთ მიეღოთ 0,25 ჰექტარი მიწა თუ ადრე მისდევდნენ სოფლის მეურნეობას და 0,15 ჰექტარი, თუ არ იყვნენ ასეთი საქმიანობით დაკავებული.
- მეცხოველეობით დაკავებულ ფერმერებს უნდა გადასცემოდათ 5 ჰექტარამდე მთის საძოვარი.
- მოცემული დადგენილება ითვალისწინებდა მიწის მხოლოდ მემკვიდრეობით გადაცემის უფლებას.

კერძო საკუთრება მიწაზე ეკონომიკის განვითარების, პიროვნების თავისუფლების და ქვეყანაში დემოკრატიის დამკვიდრების რეალური საშუალებაა.

პარლამენტის მიერ 1996 წლის მარტში მიღებული კანონმა „სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საბოლოოდ დააკანონა კერძო საკუთრება სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე.

კერძო საკუთრება საერთოდ და განსაკუთრებით მიწაზე გვევლინება არა მარტო ეკონომიკის განვითარების, არამედ პიროვნების თავისუფლებისა და ქვეყანაში დემოკრატიის მიღწევის რეალურ საშუალებად. გლეხი არ უნდა იყოს დამოკიდებული სახელმწიფოზე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სახელმწიფოს ზრუნვის საგანს არ უნდა წარმოადგენდეს მისი მეურნეობის განვითარება და მისდამი მხარდაჭერა. ძირითადი, რითაც სახელმწიფო შეიძლება დაეხმაროს

როს გლეხს, შეუქმნას ხელსაყრელი გარემო მუშაობისათვის. რალა თქმა უნდა შეიძლება იმის მტკიცება, რომ საბაზრო ეკონომიკა ადრე თუ გვიან ყველაფერს დაარეგულირებს, მაგრამ სახელმწიფოს შეუძლია და ვალდებულიცაა გაატაროს გარკვეული ღონისძიებები, რომლებიც აგვაცილებს შრომისა და სახსრების ფუჭად ხარჯვას. კერძოდ: ჩამოაყალიბოს ერთიანი სავაჭრო პოლიტიკა, დასახოს ქვეყნის განვითარების მიმართულეები, განსაზღვროს სტრატეგიული დარგები, მოახდინოს ორიენტაცია კონკრეტულ საქონელსა და ბაზარზე, ხელი შეუწყოს სოფლად ახალი, ეფექტური გაერთიანებების შექმნას: ფერმერული მეურნეობების, აქციონერული საზოგადოებების და სხვათა სახით, რომელთა საშუალებით დაძლეული იქნება მცირე, დაქუცმაცებული მეურნეობების ნაკლოვანებები. ყოველივე ეს მიწაზე რეალური მესაკუთრის ინსტიტუტის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

1997 წლისათვის პრივატიზებულია საქართველოში მინიმუმ 12%.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული საკითხი ცალკე თემაა, რომელსაც ჩვენ შემდგომში დავუბრუნდებით და უფრო დეტალურად განვიხილავთ.

1997 წლის 1 ივლისისათვის საქართველოში მცხოვრებმა 1007800 კომლმა კერძო საკუთრებაში მიიღო 864 ათასი ჰექტარი მიწა, ქვეყნის საერთო ფართობის 12%. პრივატიზებული მიწიდან 750 ათ ჰექტარი სასოფლო სამეურნეო სავარგულია, რაც მოცემული კატეგორიის მიწების 25%-ს შეადგენს (დანვრილებითი მონაცემები იხილეთ ცხრილში).

კერძო საკუთრებაში არსებული მიწა
1997 წ. 1 ივლისი

	ფართობი	ხვ. ნილი %	პრივატიზებული	ხვ. ნილი %	იჯარა	ხვ. ნილი %	გაუნანილებელი	ხვ. ნილი %
ფართობი სულ	6949,4	100	863,6	12,4	630,1	9,1	5455,7	78,5
სასოფლო სავარგული	2988,6	43,0	748,5	25,1	630,1	21,1	1608,5	53,8
სახნავი მრავ.	781,1	11,2	412,3	52,8	264,7	33,8	104,1	13,4
ნარგავი	284,6	4,1	190,6	66,9	30,1	10,6	63,9	24,6
სათიბი	148	2,1	55,6	39	32,4	21,9	60	24,5
საძოვარი	1774	25,5	90	5	302,9	17,1	1381,1	77,9
სხვა დანიშნულებების	3960,8	57	115,1	2,9			3845,7	97,1
ტყე-ბუჩქნ. კლდეები, მყინვარები, ხეები და ხრამები	3006,5	43,3	-	-			3006,5	100
გზის ქვეშ ნყლის ქვეშ შენობების ქვეშ	575,3	8,3	-	-			575,3	100
ჭაობი	143,7	2,1	95,3	66,5			48,4	39,5
	133,3	1,9	-	-			133,3	100
	89,0	1,3	19,8	22,2			69,2	77,8
	13,0	0,2	-	-			13,0	100

ქალაქის მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემა წარმოების ეფექტურობის ზრდის, ბრძელვადიანი ინვესტიციების მოზიდვის და მხარხმეთათვის რეალური დამოუკიდებლობის წინაპირობაა.

როგორც ვხედავთ კერძო საკუთრებაში არსებული მიწის დაბალ პროცენტულ მაჩვენებელს ძირითადად განაპირობებს საძოვრებისა (უკავიათ ქვეყნის საერთო ფართის 27%) და არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის (უკავიათ ქვეყნის საერთო ფართის 56%) პრივატიზაციის დაბალი დონე, შესაბამისად 5% და 2,9%. მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, განსაკუთრებით ქალაქების მიწის პრივატიზაცია. ასეთი სახის მიწის პრივატიზაციაზე ხელისუფლებას გადაწყვეტილება არ მიუღია, რაც არამარტო ეკონომიკური არამედ პოლიტიკური საკითხიცაა. ქალაქის მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემა ნიშნავს წარმოების ეფექტურობის ზრდას, გრძელვადიანი ინვესტიციების მოზიდვას და რაც მთავარია მხარხმისათვის რეალური დამოუკიდებლობის მინიჭებას.

კანონის უქონლობის მიუხედავად, არასასოფლო სამეურნეო მიწების ნაწილი უკვე გადასულია კერძო

საკუთრებაში. ეს ეხება შენობებისა და გზების ქვეშ მიწებს. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით იქნა პრივატიზირებული გზების ქვეშ მიწა — 66,5%, ეს ფაქტი დროთა განმავლობაში მნიშვნელოვან პრობლემად შეიძლება მოგვევლინოს. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ პრივატიზირებული გზები, სასოფლო სამეურნეო სავარგულების ის ნაწილია, რომლებიც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული დიდი ფართობების მცირე ნაკვეთებად დაწინაურების შემდეგ გადავიდნენ გზების კატეგორიაში. ეს გზები ეკუთვნით მიმდებარე ნაკვეთების მესაკუთრეებს. ეს ნაკლოვანება პრივატიზაციის საწყისი ეტაპიდანვე იყო გასათვალისწინებელი, რადგან გზით სარგებლობის უფლება არ უნდა იყოს დამოკიდებული კერძო მესაკუთრეზე.

საქართველის კერძო საკუთრებაში გადაცემის მიქანიზმი ჯერ კიდევ მოუგვარებელია.

რაც შეეხება საძოვრების პრივატიზაციას, აქ ერთი შეხედვით აშკარად მცირე მიწაა კერძო საკუთრებაში გადაცემული. მაგრამ ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ მოძებნილი იქნა მათი ექსპლუატაციის თითქოსდა ოპტიმალური ვარიანტი, საძოვრები გა-

დაცემულია სოფლის გამგეობის განკარგულებაში და მოსახლეობა მათი ექსპლუატაციისთვის იხდის გადასახადს ადგილზე დადგენილი განაკვეთის მიხედვით. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მიწის მხოლოდ მუნიციპალურ საკუთრებაში გადაცემა ყოველად მიუღებელია, უნდა გამოინახოს ოპტიმალური რაოდენობა იმ საძოვრებისა, რომლებიც გამგეობის განკარგულებაში დარჩება და საკმარისი იქნება მოსახლეობის სარგებლობისათვის, ხოლო დანარჩენი მიწები გადაცემული უნდა იქნას ფერმერული მეურნეობებისათვის კერძო საკუთრებაში ან გრძელვადიანი იჯარით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრივატიზაცია რეგიონალურ შრილში.

ზოლის სიახლოვემ, არც გარკვეული წრეების პოლიტიკურმა ამბიციებმა და არც რეგიონში არსებულმა კლანების დაპირისპირებამ არ შეიძლება შეზღუდოს ადამიანის უფლება კერძო საკუთრებაში იქონიოს კანონით მისთვის განკუთვნილი მიწა.

სასოფლო სავარგულების 75% ჯერ კიდევ სახელმწიფო საკუთრებაშია.

რეგიონებისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გამო პრივატიზაციის პროცესი სხვადასხვაგვარ მიდგომას მოითხოვს. მთიან რეგიონებში, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მიწაზე საკუთრების ოპტიმალურ ვარიანტს - წვრილ მეურნეობებს. სხვაგან კი სახელმწიფოს ძალისხმევა მიმართული უნდა

ცხრილი 2.

მიწის პრივატიზაციის მიმდინარეობა რეგიონების მიხედვით

	აფხაზეთი	აჭარა	იმერეთი	სამეგრელო ზემო სვანეთი	გურია	რაჭა ლეჩხ. ქვემო სვანეთი	შიდა ქართლი	მცხეთა თიანეთი	კახეთი	ქვ. ქართ.	სამცხე ჯავახ.	სამაჩაბლო
ფართობი	862,3	290,0	653,1	742,1	203,5	494,0	481,5	676,6	1134,9	677,3	653,8	90,3
სასოფლო სავარგული მათ შორის:	217,3	74,1	201,2	274,7	74,7	155,5	223,7	290,2	620,9	394,8	399,4	53,1
კერძო იჯარით	18,4	13,5	108,3	90,3	38,7	46,4	77,0	69,9	152,2	63,6	70,5	0,9
	-	-	32,0	17,2	5,9	58,6	52,1	38,3	232,3	146,9	46,8	-
სახნავი	44,8	12,2	81,9	66,7	21,3	8,5	77,0	38,7	209,7	133,7	83,7	2,9
კერძო იჯარით	8,7	6,2	74,0	60,0	17,4	7,4	40,1	26,5	96,8	42,8	40,9	0,6
	-	-	6,7	3,1	1,3	36,9	9,0	103,3	65,8	37,5	-	-
მრავალწლო ნარგავები	44,1	16,7	32,1	39,7	24,2	4,2	40,1	7,2	56,6	15,5	4,1	0,1
კერძო იჯარით	9,6	6,6	26,1	16,1	18,0	4,0	36,3	7,0	42,7	13,0	3,8	0,1
	-	-	2,0	11,3	2,5	-	3,1	-	9,5	1,7	-	-
სათიბი	2,0	5,5	1,7	10,8	1,1	29,4	6,9	15,5	2,1	37,1	27,9	8,0
კერძო იჯარით	-	0,6	1,5	8,1	0,3	16,6	-	13,2	1,2	4,6	9,4	-
	-	-	-	-	0,1	11,3	2,0	1,2	0,7	16,0	1,1	-
საძოვარი	126,4	39,7	94,5	157,5	28,1	113,4	99,7	228,8	352,5	208,5	283,7	42,1
კერძო იჯარით	0,1	0,1	6,7	6,1	3,0	18,4	0,6	23,2	12,0	3,2	16,4	0,2
	-	-	23,3	2,8	2,0	46,2	10,1	28,1	118,8	63,4	8,2	-

მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემის ტემპები რეგიონების მიხედვით მკვეთრად განსხვავებულია. ძალზედ დაბალია პრივატიზაციის ტემპები ქვემო ქართლში, სამცხე ჯავახეთში და აჭარაში. ქვემო ქართლსა და სამცხე ჯავახეთში პრივატიზაციის დაბალი ტემპები არაფრით არ შეიძლება გამართლდეს ეთნიკური უმცირესობის სიჭარბით. პირიქით, კერძო საკუთრებაში მათთვის მიწის გადაცემამ უნდა გააჩინოს მათ გარკვეული ინტერესი, პასუხისმგებლობის გრძნობა და რაც მთავარია მოსპოს დაძაბულობის ყოველგვარი საფუძველი. აჭარასთან მიმართებაში კი მხოლოდ ერთის თქმა შეიძლება, არც სასაზღვრო

იყოს მსხვილი ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბებისაკენ, რათა სრულფასოვნად იქნას გამოყენებული მასშტაბის ეფექტი და თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევები.

დღემდე პრივატიზაცია გარკვეული ხარვეზებით მიმდინარეობდა. 864 ათ. ჰექტარი მიწა ისე გადავიდა კერძო საკუთრებაში, რომ არ გათვალისწინებულა მისი ხარისხი, მისი ნაყოფიერება, რადგან 12 წლის განმავლობაში არავითარი საგეგმო კარტოგრაფიული სამუშაო არ ჩატარებულა, მიწის კადასტრზე ხომ ლაპარაკიც კი ზედმეტია. შედეგად ნაყოფიერი მიწები ხელში ჩაიგდეს მათ, ვინც განაწილების პროცესს

მართავდა. მართალია ამ დროს დაირღვა სოციალური თანასწორობის პრინციპი, მაგრამ ამან შეიძლება ხელი შეუწყოს მსხვილი ფერმერული მეურნეობების ფორმირებას, რაც ეკონომიკურად ბევრად უფრო ეფექტურია, ვიდრე წვრილი მეურნეობები.

1996 წელს მიწის გადასახადით ამოსაღები 23,1 მილიონი ლარის ნაცვლად ამოღებულია 14,8 მილიონი ლარი, ანუ 64%.

პრივატიზაციაში დღემდე დაშვებული შეცდომები უცილობლად უნდა იქნას გათვალისწინებული რეფორმის შემდგომ ეტაპზე, მითუმეტეს, რომ სასოფლო სამეურნეო სავარგულების 75% ჯერ კიდევ სახელმწიფოს ხელშია. სასწრაფოდ უნდა იქნას დასრულებული სამუშაოები კადასტრზე და მოხდეს სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი მიწის სწრაფი და შეძლებისდაგვარად სამართლიანი განაწილება.

სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი მიწის პრივატიზაციის შუალედურ ნაბიჯს იჯარა წარმოადგენს. 1997 წლის 1 ივლისისათვის იჯარით გაცემულია 630,1 ათასი ჰექტარი სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი სასოფლო-სამეურნეო სავარგული (აქედან 165,9 ათ. — 41,3 ათას ფიზიკურ პირზე და 469,2ათ. — 1370 იურიდიულ პირზე), საერთო რაოდენობის 21 %, აქედან სახნავის 33,9% (264,7 ათასი ჰექტარი), მრავალწლიანი ნარგავების 10,5% (30,1 ათ. ჰა) სათიბის 21,9% (32,4 ათ ჰა.) საძოვარის — 17% (302,9 ათ ჰა.). განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევა კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონები, სადაც იჯარით გაცემული იქნა შესაბამისად 232,2 და 146,9 ათ ჰა (საერთოდ იჯარით გაცემული ფართის 60%).

42,7 ათას მოიჯარიდან ხელშეკრულება გაფორმებულია 11,9 ათასზე, ანუ 27,9%-ზე.

იჯარით აღებული მიწის ეფექტურ გამოყენებაზე თვით მიწის იჯარით აღების ფაქტიც მეტყველებს, რადგან თუ გლეხი არ იქნება დაინტერესებული მიწის ეფექტურ გამოყენებაში, იგი არ იქირავებდა მიწას, რითაც თავიდან აიცილებდა ზედმეტ ხარჯებს.

მეორეს მხრივ ცალკეულ რეგიონებში გლეხობა იძულებული იქნა მიწა აეღო იჯარით, რადგან კერძო საკუთრებაში გადაეცა ოჯახური მეურნეობისათვის გამოუსადეგარი მიწები. მაგალითად, მეცხოველეობით დაკავებულ გლეხებს სახნავები და პირიქით.

მიწის იჯარით გადაცემის პროცესი სერიოზული დარღვევებით განხორციელდა. რაიონის გამგებების გადაწყვეტილებით მოიჯარეებს მიეზომათ მიწის ნაკვეთი ისე, რომ არ გაფორმებულა საიჯარო ხელშეკრულება. 42,7 ათ. მოიჯარიდან ხელშეკრულება გაფორმებულია 11,9 ათ.-ზე, ანუ 27,9%-ზე. შედეგად, მიწის ის ნაწილი, რომელზეც არ არის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება იურიდიულად მითაცებული მიწის კატეგორიაში გადის და შეიძლება ჩამორთმეული იქნას ნებისმიერ მომენტში.

უფრო დიდ პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საიჯარო ხელშეკრულების გაუფორმებლობის გამო ბიუჯეტი ყოველწლიურად დიდ თანხას კარგავს. უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის ნაწილი, რომელიც სარგებლობს მიწით, მაგრამ არ აქვს გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულება, მაინც იხდის გადასახადს. თუმცა გაურკვეველია სად მიდის ეს თანხები.

სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩენილი მიწების უდიდესი ნაწილი აუცილებლად უნდა გადავიდეს კერძო საკუთრებაში, მაგრამ ამ პროცესის ერთი ხელის მოსმით განხორციელება ყოველად დაუშვებელია. აუცილებლად გასათვალისწინებელია რეგიონებში არსებული სიტუაცია, კერძოდ ცალკეულ რაიონებში გლეხი იმდენ მოსავალსაც კი ვერ იღებს, რომ დახარჯული თანხები აანაზღაუროს, რის გამოც მოსახლეობა ანებებს თავს მიწის დამუშავებას. ამას ადასტურებს TACIS-ის მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგები, როდესაც გარდაბნის რაიონში, დიდი ლილოს მიდამოებში პრივატიზებული მიწის 60% დაუმუშავებელი იყო. შედეგად მოსახლეობა ან ვერ იხდის ან უარს აცხადებს მიწის გადასახადის გადახდაზე. 1996 წელს გადასახადით ამოსაღები 23,1 მილიონი ლარის ნაცვლად ამოღებული იქნა 14,8 მილიონი ლარი - 64%. ცალკეულ რაიონებში შექმნილია ისეთი სიტუაცია, როდესაც მოსახლეობას ვერ აკმაყოფილებს საკუთრებაში მიღებული მიწის ფართობი, შედეგად ადგილი აქვს მიწის იჯარით აღებას და ზოგჯერ დატაცებასაც კი (თუმცა ამ ფაქტს სხვაგვარი ახსნაც შეიძლება მოეძებნოს).

ამრიგად, მიწის პრივატიზაციის პირველი ეტაპი შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს, მაგრამ ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი. მიღწეულზე შეჩერება უკან გადადგმული ნაბიჯის ტოლფასი იქნება. უმთავრესი საკითხი, რაც ჯერ კიდევ მოსაგვარებელია, ეს არის ქალაქის მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემის საკითხი, რაც გახდება ინვესტიციების მოზიდვის, ეკონომიკური ეფექტურობის ზრდის და პოლიტიკური თავისუფლების გარანტია.

მიუხედავად მიწის პრივატიზაციის განხორციელების დიდი მნიშვნელობისა ქვეყნისათვის, მთავარი მაინც დანარჩენი სახელმწიფო ქონების პრივატიზაციაა, რასაც ახორციელებს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო, ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული, თუმცა ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი ამ მიმართულებით.

ყველაზე კარგი შედეგები მიღწეულია მცირე პრივატიზაციის სფეროში. პრივატიზირებულია მცირე სანარმოთა თითქმის 100%, 1997 წლის 1 ივლისის მდგომარეობით მცირე პრივატიზაციის მიმდინარეობა რეგიონების მიხედვით შემდეგ სურათს გვაძლევს (იხ. ცხრ. №3).

მცირე საწარმოთა პრივატიზაციის მიმდინარეობა რეგიონების მიხედვით

რეგიონები (ქალაქები)	დამტკიცებული ობიექტები	პრივატიზირებულია სულ.	პრივატიზირებულია 1997წ.	ს/ს სანვსდებო კაპიტალში შემავალი ობიექტები	ლიკვიდირებული ობიექტები სულ	ლიკვიდირებული ობიექტები 1997წ.
1 აფხაზეთი	2	0	0	0	0	0
2 აჭარა	290	108	0	21	0	0
3 თბილისი	3515	2817	164	395	0	0
4 გურია	298	339	6	3	71	0
5 ქვემო სვანეთი და რაჭა-ლეჩხუმი	153	191	0	2	50	0
6 სამეგრელო და ზ. სვან.	1006	1210	23	163	296	0
7 იმერეთი	2097	2214	29	114	515	0
8 კახეთი	873	871	15	37	190	0
9 მცხეთა თიანეთი	267	253	2	21	71	0
10 სამცხე ჯავახეთი	498	494	7	8	105	0
11 ქვემო ქართლი	689	685	24	19	113	0
12 შიდა ქართლი	667	724	11	53	167	0
სულ საქართველოში	10355	10093	296	836	1578	0

შენიშვნა: იმის გამო რომ პრივატიზაციის პროცესში ზოგიერთი საწარმო გაიყო, პრივატიზირებული საწარმოების რიცხვი შეიძლება აჭარბებდეს გასაყიდად დამტკიცებულ საწარმოების რიცხვს.

როგორც ვხედავთ, მცირე პრივატიზაციის აშკარა ლიდერი გახლავთ გურიის, იმერეთისა და სვანეთის რეგიონები, გასაგები მიზეზების გამო პრივატიზაცია არ განხორციელებულა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, ხოლო რაც შეეხება აჭარას აქ შეტად არასახარბიელო მდგომარეობა შექმნილი, შეიძლება კიდევ ერთხელ ითქვას, რომ როგორც მინის

პრივატიზაციის შემთხვევაში, სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია აჭარაში ფერხდება რეგიონის შესაბამისი დანებსებულებების არაღამაკმაყოფილებელი მუშაობის და სხვა სუბიექტური მიზეზების გამო. თუ ამ საკითხს დარგობრივ ჭრილში განვიხილავთ შემდეგ სურათს მივიღებთ (იხ. ცხრ. №4).

მცირე საწარმოთა პრივატიზაცია დარგების მიხედვით

დარგების დასახელება	საპრივატიზაციოდ დამტკიცებული ობიექტების რაოდენობა	პრივატიზირებული ობიექტების რაოდენობა სულ	პრივატიზირებული ობიექტების რაოდენობა 1997წ.
1 მრეწველობა	319	223	2
2 ენერჯეტიკა	31	28	0
3 პურპროდუქტები	139	95	0
4 სოფლის მეურნეობა და კვების მრეწველობა	548	341	26
5 მშენებლობა	165	252	10
6 ვაჭრობა	4056	3897	57
7 საყოფ. მომსახურეობა	4106	3891	22
8 ნავთობპროდუქტები	164	164	0
9 ჯანდაცვა	669	523	18
10 სოციალური სფერო	85	396	8
11 ტრანსპორტი	73	90	6
12 არასაცხ. ფართი	-	193	147
სულ საქართველოში	10355	10093	296

როგორც ვხედავთ, მცირე პრივატიზაცია დასკვნით ეტაპზეა, თუმცა არის დარგები, სადაც იგი საკმაოდ მდორედ მიმდინარეობს, მაგალითად, მრეწველობაში, სადაც პრივატიზირებულია ობიექტების დაახლოებით 66 პროცენტი, მეორეს მხრივ, მთლიანად პრივატიზირებულია მთელი რიგი დარგები. მაგალითად, ნავთობპროდუქტები და მშენებლობა. ჩვენი აზრით, ასეთი გადახრის ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ მყიდველი ირჩევს უფრო მომგებიან დარგებს. მცირე პრივატიზაციის მიმოხილვა, ობიექტების განსახელმწიფოებრობის ფორმის მიხედვით, შემდეგ სურათს გვაძლევს: იჯარა-გამოსყიდვით - 1%; ლიკვიდაცია - 15%; კონკურსი - 27%, პირდაპირი მიყიდვა - 28%; აუქციონი 29%. როგორც ვხედავთ, ამ ტიპის საწარმოთა პრივატიზაციის ფორმებში დომინირებს აუქციონი, კონკურსი, პირდაპირი მიყიდვა. ეს ჩვენი აზრით, მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ამ ტიპის ობიექტების გასაყიდი ფასი ხელმისაწვდომი იყო მოსახლეობის გარკვეული ნაწილისათვის და ამ მცირერიცხოვან ფენას აქვს მსყიდველობითი უნარი მათ შესაძენად, რაც თავის მხრივ, ირიბად მიუთითებს მოსახლეობის ამ ფენაში დანაზოგების ზრდაზე. ეს კი მეტად მნიშვნელოვანი დადებითი ტენდენციაა, თუმცა დაგროვების დონე მთლიანად ეკონომიკაში არასაკმარისია, მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ძალიან მცირე შემოსავლები აქვს, რაც ირიბად ჩანს საშუალო და მსხვილი ობიექტების პრივატიზაციის ანალიზისას. რაც შეეხება სახელმწიფოს ხელში ჯერ კიდევ დარჩენილ ობიექტებს, მათი რიცხვი საკმაოდ მცირეა, თუმცა საჭიროა რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს მათი პრივატიზაცია, რათა ისინი უფრო ეფექტურად ამოქმედდნენ და სარგებლობა მოუტანონ ქვეყნის ეკონომიკას. საერთოდ, ნებისმიერი სიდიდის საწარმოს პრივატიზაციის ფორმას და მის განხორციელებას წყვეტს ქონების მართვის სამინისტრო ან მისი ტერიტორიალური ორგანო.

ჩვენი აზრით, მცირე ობიექტების პრივატიზაციაში უნდა დომინირებდეს პრივატიზაციის ისეთი ფორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ საწარმოთა არა აქციონირებას, არამედ მათი ერთი ან რამოდენიმე იურიდიული ან ფიზიკური პირის ხელში მოხვედრას. ეს ხელს შეუწყობს მათ უფრო ეფექტურ ფუნქციონირებას, რადგან ასეთი ტიპის საწარმოები არ მოითხოვენ დიდი ფინანსური თანხების მოზიდვას ასამოქმედებლად, ხოლო ერთი ან რამოდენიმე პირის ხელში ისინი უფრო მოქნილი არიან. ამ შესედეულებას ისიც უწყობს ხელს, რომ როგორც ავლნიშნეთ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი საკმაოდ გადახდისუნარიანია, რომ შეიძინოს მცირე ობიექტები ერთპიროვნულად. სწორედ ასეთი ტენდენცია არსებობდა უკვე პრივატიზებულ მცირე საწარმოებში და სასურველია იგი გაგრძელდეს.

საწარმოთა პრივატიზირების ფორმებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ობიექტის სიდიდისა, ქონების მართვის სამინისტრომ შეიმუშავა დებულებები მათი პრივატიზაციის სხვადასხვა ფორმების შესახებ, რომლებიც დამტკიცდა ამავე სამინისტროს მიერ 1997 წლის 8 სექტემბრის ბრძანებით. კონკურსის ფორმით პრივატიზირებისას სამინისტროს მიზანია უპირატესობა მიანიჭოს იმ მყიდველს, რომელიც უფრო კარგ პირობებს შესთავაზებს.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერი ქვეყნის იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, იმისათვის რომ არ მოხდეს პრივატიზებით არაჯანსაღი დაინტერესება ბიუროკრატიული აპარატის მხრიდან, მყიდველის ქონებაში სახელმწიფო ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოების წილი 25 პროცენტითაა შეზღუდული. კონკურსი შეიძლება იყოს საინვესტიციო ან კომერციული. საინვესტიციო კონკურსის შემთხვევაში გამარჯვებული სრულად უნდა აკმაყოფილებდეს საკონკურსო პირობებს და მისი წინადადებები ყველაზე უკეთ უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ საინვესტიციო პროგრამას. კომერციულ კონკურსში გამარჯვებული სრულად უნდა აკმაყოფილებდეს საკონკურსო პირობებს და იხდიდეს მაქსიმალურ ფასს. კონკურსის ფორმით პრივატიზაციას ახორციელებს სამინისტროს ან მისი ტერიტორიალური ორგანოს მიერ შექმნილი კომისია, რომელიც ამზადებს და ატარებს კონკურსს და ამტკიცებს მის შედეგებს. იგი აგრეთვე გამოსცემს პრივატიზირებადი საწარმოების შესახებ ინფორმაციას. კონკურსში მონაწილემ უნდა გადაიხადოს „ბე“, რომლის სიდიდეს განსაზღვრავს კომისია და რომლის მოცულობაც უნდა შეადგენდეს საპრივატიზებო ქონების საწყისი ფასის მინიმუმ 10 პროცენტს. იმ შემთხვევაში თუ კონკურსში მონაწილემ ვერ გაიმარჯვა, მას „ბე“ უბრუნდება, ხოლო მყიდველს იგი ჩაეთვლება გადასახდელ ფასში. კონკურსზე შეიძლება იქნას გამოტანილი არა მარტო საწარმოები მთლიანად, არამედ სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნილი საწარმოების ცალკეული პაკეტები. აუქციონის ფორმით პრივატიზების შემთხვევაში სამინისტროს მიზანია მიყიდოს ობიექტი იმ მყიდველს, რომელიც ყველაზე მაღალ ფასს გადაიხდის. აუქციონში მონაწილეთა წრე ისეთივე სახითაა განსაზღვრული როგორც კონკურსის შემთხვევაში. აუქციონს ახორციელებს ან ქონების მართვის სამინისტრო ან შუამავალი, რომელსაც გადაეცემა სათანადო უფლებამოსილება. გამყიდველმა უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის გამოქვეყნება პრივატიზირებადი ობიექტების შესახებ. აუქციონის მონაწილემ უნდა დააკმაყოფილოს გამყიდველის პირობები და შეიტანოს დადგენილი „ბე“, რომელიც საპრივატიზებო ქონების 10 პროცენტს აღემატება, მხოლოდ ამის შემდეგ დაიშვება იგი აუქციონზე. თვითონ აუქციონს კლასიკური სახე აქვს. თუ გამარჯვებული უარს განაცხადებს აუქციონზე დადგენილი თანხის გადახდაზე ან მონაწილე არ გამოცხადდება აუქციონზე, მათ არ უბრუნდებათ დადგენილი „ბე“-ს მინიმალური ზღვარი (10%).

ისევე როგორც კონკურსის შემთხვევაში, აუქციონზე შეიძლება იქნეს გამოტანილი როგორც მთლიანი საწარმო ასევე სააქციო საზოგადოებად გარდაქმნილი საწარმოს აქციების ცალკეული პაკეტები. სახელმწიფო ქონების იჯარა-გამოსყიდვის შემთხვევაში ქონების იჯარა-გამოსყიდვის ფორმით გაცემის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს. იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზაციის შემთხვევაში ამ პროცესის მონაწილეთა წრე იგივეა როგორც იყო წინა ორ შემთხვევაში. სახელმწიფო ქონების გაცემა იჯარა-გამოსყიდვით ხდება ზემოთ მოყვანილი კონკურსის წესით. გამყიდველმა წინასწარ უნდა გამოა-

ქვეყნის ინფორმაცია პრივატიზაციაში ობიექტის შესახებ. მყიდველმა უნდა გადაიხადოს ყოველწლიურად პრივატიზირებადი ობიექტის 10 პროცენტი. საიჯარო ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოიჯარეს ჩამოერთმევა ობიექტი და არ დაუბრუნდება გადახდილი თანხა. პირდაპირი მიყიდვის საშუალებით პრივატიზაციის ორგანიზების შემთხვევაში ქონების მიყიდვის საკითხს წყვეტს საქართველოს პრეზიდენტი. ქონება პრივატიზდება თუ ინვესტორი წარადგენს სანარმოში ინვესტირებისა და მისი ეფექტურად ამოქმედების ან სანარმოს თავისებურებებიდან გამომდინარე ხელსაყრელ წინადადებებს.

ჯერ კიდევ სახელმწიფო საკუთრებაშია ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის 75%.

საშუალო და მსხვილი ობიექტების პრივატიზირება უპირატესად მიმდინარეობს მათი სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნისა და აქციების გაყიდვის გზით, თუმცა საშუალო და მსხვილი არაპრივატიზებული ობიექტების სიმძლავრე შეადგენს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის დაახლოებით 75 პროცენტს, რაც ხელს უშლის ქვეყნის ეკონომიკის ეფექტურად ფუნქციონირებას და საერთოდ აფერხებს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ რეფორმებს. ამ ფაქტთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ყველა განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყანაში კერძო სექტორის ხვედრითი წილი ეკონომიკაში 50 პროცენტზე მეტია.

საშუალო და მსხვილი სანარმოების მასობრივი პრივატიზაცია დაიწყო სპეციალური საბარათო აუქციონებით, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო ქვეყნის მთელმა მოსახლეობამ ვაუჩერების მეშვეობით. სულ 5310414 კაცზე გაცემული იქნა 4481750 ვაუჩერი, რაც 84,4%-ს შეადგენს, რომელთაგან თითქმის 100 პროცენტი დასაქონლდა. ქვეყნისათვის ვაუჩერიზაციის მეშვეობით სახელმწიფო ქონების პრივატიზირების სარგებლიანობის საკითხი საკმაოდ პრობლემატურია და ამ საკითხზე პასუხიც არაერთგვაროვანია. ერთის მხრივ, ეს უზრუნველყოფს სოციალურ სამართლიანობას მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის ყოფილ სახელმწიფო ქონების განაწილების საქმეში და სახელმწიფოს მორალური ვალდებულებაც მოქალაქის წინაშე მოხდის.

პრივატიზაციის ეს ფორმა აგრეთვე უზრუნველყოფს სახელმწიფო ქონების შედარებით სწრაფ განსახელმწიფოებრიობას, იგი ხსნის წინააღმდეგობებს სანარმოთა კოლექტივებისა და კორუმპირებული მოხელეების მხრიდან, მეორეს მხრივ, ვაუჩერიზაცია აფერხებს პრივატიზირებული სანარმოს „ნამდვილი“ მესაკუთრის ხელში მოხვედრას და ხელს უშლის მის ეფექტურად ამუშავებას, ბიუჯეტში არ შემოდის თანხები, უფრო მეტიც, სახელმწიფო სწევს გარკვეულ ხარჯებს მათ ჩასატარებლად. წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით, პრივატიზაციის სხვა მეთოდებთან შედარებით, ვაუჩერიზაცია ყოველად არაეფექტურია, თუმცა მისი განხორციელება ნამდვილად სჯობს სანარმოს სახელმწიფოს ხელში დარჩენას. სამწუხაროდ, პრივატიზაციაში სოციალური სამართლიანობის და ეკონომიკური ეფექტია-

ნობის მაჩვენებლები ყოველად შეუდარებელია. იმ ქვეყნებისათვის, რომლებმაც პრივატიზაციის მთავარ საშუალებად ვაუჩერიზაცია აირჩიეს, ასეთი არჩევანის გაკეთების მთავარი მოტივი იყო ის, რომ რაც შეიძლება სწრაფად გადასულიყვნენ საბაზრო ეკონომიკის რელსებზე და კავშირი გაენწყვიტათ თავიანთ წარსულთან, აგრეთვე ვაუჩერიზაციის საშუალებით მათ შეძლეს რეფორმებისათვის მოეპოვებინათ მოსახლეობის ფართო ფენათა მხარდაჭერა და გარკვეულწილად, შეემცირებინათ პრივატიზაციით გამოწვეული სოციალური უკმაყოფილება, თუმცა ზოგიერთმა ქვეყანამ პრივატიზაციაში თავის ძირითად ინსტრუმენტად სხვა მეთოდი აირჩია. ეკონომიკურად ყველაზე მომგებიანი მეთოდი არის სახელმწიფო საკუთრების მიყიდვა „გარეგანი“ ე.ი. არა კოლექტივის წევრებისადმი, სულ ერთია იქნება ეს სამამულო

„სტრატეგიული ინვესტორი“, ისეთი როგორცაა ბანკები, სატრასტო კომპანიები და სხვა ფინანსური ინსტიტუტები თუ უცხოელი ინვესტორი. პრივატიზაციის ეს ხერხი ყველაზე ეფექტურად ახდენს სახელმწიფო ქონების პრივატიზებას და ყველაზე შთაბეჭედავ შედეგებს აღწევს. იგი ინვესტს ყველაზე მცირე ინფლაციას, უმუშევრობას, სავაჭრო ბალანსის დეფიციტს და ყველაზე დიდ ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებს.

საქართველოში ვაუჩერიზაციის პროცესი პროგრესული ღონისძიება იყო, მაგრამ ვაუჩერიზაციამ ვერ უზრუნველყო ის ბევრი დადებითი შედეგი, რომელთა მიღებაც მოსალოდნელი იყო. ვაუჩერიზაციის მიმდინარეობის პერიოდში სოციალური სამართლიანობის ეფექტის მიღწევა არ მოხერხდა მოსახლეობის უმრავლესობის მცირე მსყიდველობითი უნარიანობის გამო, ვაუჩერები კონცენტრირებული იქნა ცალკეული პიროვნებების ხელში, რადგან ბევრმა მოქალაქემ თავისი ვაუჩერი გაყიდა მის ნომინალურ ღირებულებაზე გაცილებით დაბალ ფასში, ამიტომ ზოგიერთი სანარმოები ცალკეული იურიდიული თუ ფიზიკური პირების მიერ შეძენილ იქნენ ჩალის ფასად, ამ სანარმოთა საბალანსო ღირებულებებთან შედარებით. თუმცა ქვეყნისათვის ამ გარემოებას მაკროეკონომიკური თვალსაზრისით არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, ეს სანარმოები ამოქმედდნენ და ხელი შეუწყონ საქართველოს ეკონომიკურ ზრდას. ვაუჩერების გარკვეული ნაწილი მათმა მფლობელებმა ჩადეს საინვესტიციო ფონდებში და ამ გზით გახდნენ სანარმოთა ირიბი მფლობელები, თუმცა ასეთი ხალხის რიცხვი მცირეა.

ფინანსური კომპანია - პირამიდების გაკოტრებამ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ახლო წარსულში, არამარტო საქართველოში, არამედ პოსტ-კომუნისტური სივრცის თითქმის ყველა ქვეყანაში. მოსახლეობის ცნობიერებაში ჩამოაყალიბა ერთგვარი უარყოფითი სტერეოტიპი ფინანსური კომპანიების მიმართ, რაც მათდამი უნდობლობაში გამოიხატა და გახდა პრივატიზაციის პროცესში საინვესტიციო ფონდების წარუმატებლობის მიზეზი. საინვესტიციო ფონდებმა ვერ მიიზიდეს დიდი რაოდენობით ვაუჩერები და ვერ ითამაშეს დიდი როლი პრივატიზაციის პროცესში, ამ ფონდების წილმა, TACIS-ის მონაცემებით, საერთო გაყიდულ აქციებში 0,3 პრო-

ცენტი შეადგინა.

საერთოდ, საშუალო და მსხვილი ობიექტების პრივატიზირების საქმეში. მნიშვნელოვნად უფრო ნაკლებად მიმზიდველი მდგომარეობაა ვიდრე მცირე პრივატიზაციაში. დარჩა გაუსყიდავი ამ სახის ქონების დაახლოებით 70%. 1997 წლის პირველი ნახევრის მდგომარეობით. თუ ამ ობიექტების პრივატიზირების საკითხს რეგიონალურ ტერიტორიაზე განვიხილავთ, შემდეგ სურათს მივიღებთ (იხ. ცხრ. №5)

როგორც ვხედავთ, ყველაზე კარგი მდგომარეობა

ზაციის მიმდინარეობას განვიხილავთ დარგობრივ ტერიტორიაზე შემდეგ სურათს მივიღებთ (იხ. ცხრ. №6)

როგორც ვხედავთ, საშუალო და მსხვილი საწარმოების გარდაქმნა, სააქციო საზოგადოებებად არაერთგვაროვანია: ეს პროცესი მაღალი ტემპებით მიდის მრეწველობაში (96,8%), ხოლო საქვარისა (55,1%) და ნავთობპროდუქტების (50,8%) დარგებში მდგომარეობა არასახარბიელოა. შედარებით კარგი მდგომარეობაა მომსახურეობის (62,5%) სოციალური სფეროს (79,2%) და ვაჭრობის სფეროში (77,8%),

ცხრილი №5

სააქციო საზოგადოებების დაფუძნება რეგიონების მიხედვით

რეგიონები (ქალაქები)	დამტკიცებულია,ს/ს გარდასაქმნელ ნუსხაში	დაფუძნებულია სულ	დაფუძნებულია 1997 წელს.
1 აფხაზეთი	34	0	0
2 აჭარა	86	33	0
3 თბილისი	402	344	6
4 გურია	56	52	0
5 ქვემო სვანეთი და რაჭა-ლეჩხუმი	8	4	1
6 სამეგრელო და ზემო სვანეთი	147	141	1
7 იმერეთი	202	195	8
8 კახეთი	110	98	1
9 მცხეთა-თიანეთი	35	35	0
10 სამცხე-ჯავახეთი	46	30	3
11 ქვემო ქართლი	87	78	3
12 შიდა ქართლი	64	62	0
სულ საქართველოში	1277	1072	23

მცხეთა-თიანეთის რეგიონშია, სადაც დამტკიცებული ობიექტების 100% გარდაქმნილია სააქციო საზოგადოებად. თუმცა ზოგიერთი მხარის ჩამორჩენა ამ მხრივ პირდაპირ კატასტროფულია, მაგალითად, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში აქციონირებულია დამტკიცებული ობიექტების მხოლოდ 50%, ხოლო აჭარაში 37,2%, აქაც რეგიონებში ჩამორჩენის მთავარი მიზეზი შესაბამისი რეგიონალური უწყებების არადაამაყოფილებელი მუშაობაა. ჩვენ არ გვაქვს ზუსტი მონაცემები თუ აქციების რამდენი პროცენტი გადავიდა კერძო საკუთრებაში რეგიონების მიხედვით, მაგრამ საერთო მონაცემების გათვალისწინებით უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს მაჩვენებლები არცერთ მხარეში არ აღემატება 50%-ს, ეს კი

ხოლო მდგომარეობა ენერგეტიკაში (7,5%) და მომპოვებელ მრეწველობაში (10,5%) ნამდვილად არადაამაყოფილებელია. ამ დარგების ასეთი ჩამორჩენა, ჩვენის აზრით, გამოწვეულია მათი მაღალი მონოპოლიზაციით და მათში სტრატეგიული საწარმოების არსებობით, საჭიროა მოხდეს ამ დარგების რაც შეიძლება სწრაფი პრივატიზირება, მაგრამ არა დღევანდელი მონოპოლიზირებული, არამედ დივერსიფიცირებული სახით. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ელექტროენერგეტიკული სექტორის პრივატიზების მიმდინარეობა, რომელიც ძალიან ნელი ტემპებით მიდის, სექტორი გაყოფილია სამ ნაწილად, რომელთა შორის

საშუალო და მსხვილი ობიექტების პრივატიზაციის საქმეში უფრო ნაკლებად მიმზიდველი მდგომარეობაა ვიდრე მცირე პრივატიზაციაში, გაუსყიდავი დარჩა ამ სახის ქონების დაახლოებით 70%.

ფრიად დამაფიქრებელი და შემამოფრთხილებელია. თუ საშუალო და მსხვილი საწარმოების პრივატი-

პრივატიზებას გენერაცია და განაწილება ექვემდებარება, ხოლო გადაცემა — სახელმწიფო კომპანია „საქენერგოს“ ხელში რჩება. გათვალისწინებულია პირველ რიგში გამანაწილებელი კომპანიების პრივატიზება, რომელთა პრივატიზება 1996 წელს დაიწყო, მაგრამ, სამწუხაროდ,

სააქციო საზოგადოებების დაფუძნების მიმდინარეობა დარგების მიხედვით

	დარგების დასახელება	დამტკიცებულია სააქციო საზოგადოებებად გარდასაქმნელ ნუსხაში	დაფუძნებული და რეგისტრირებულია სააქციო საზოგადოებებად სულ	დაფუძნებული და რეგისტრირებულია სააქციო საზოგადოებებად 1997 წელს
1	მრეწველობა	208	201	0
2	ენერგეტიკა	61	56	16
3	პურპროდუქტები	31	27	1
4	სოფლის მეურნეობა და კვების მრეწველობა	404	315	1
5	არქიტექტურა და მშენებლობა	219	210	2
6	ვაჭრობა და მატერიალური რესურსები	81	65	0
7	ნავთობპროდუქტები	49	27	0
8	საქვაზი	57	29	3
9	ტრანსპორტი	116	96	0
10	სოციალური სფერო	49	45	0
11	ფოთისა და ბათუმის პორტები	2	1	1
	სულ საქართველოში	1227	1072	23

ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა. მოსალოდნელია, რომ ერთერთი პირველი ნაბიჯი იქნება აბაშის, ლაგოდეხის, წალენჯიხის, ჭიათურის გამანაწილებელი კომპანიების აქციების 30 პროცენტის პაკეტების გამოტანა სპეციალურ აუქციონებზე. კიდევ ერთხელ უნდა ავლიწმნოთ, რომ საჭიროა ელექტროენერგეტიკული სექტორის უსწრაფესი პრივატიზაცია რაც შეიძლება დივერსიფიცირებული სახით, უპირველეს ყოვლისა ეს შეეხება განაწილების სექტორს, რაც ხელს შეუწყობს არა მარტო სექტორის ეფექტურად ამუშავებას, არამედ მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის ამოღებას, რადგან არც ერთი კერძო ელექტრო კომპანია არ ვასცემს ელექტროენერჯის უფასოდ და მოისპობა ის ეკონომიკურად არანორმალური სიტუაცია, რომლის დროსაც სახელმწიფო ელექტროენერჯის სახით მის მოხმარებელს აძლევს უფადო და უპროცენტო სესხს და ამით ზარალდება სახელმწიფო ბიუჯეტი. ეს ღონისძიება აგრეთვე გაზრდის შემოსავლებს ბიუჯეტში. არანაკლებ მნიშვნელოვანია ელექტროენერგეტიკის გენერაციის სექტორის პრივატიზაცია, რაც ხელს შეუწყობს ელექტროენერჯის გამოშვებების გაზრდას არსებულ ელექტროსადგურებზე, მუშაობის ეფექტურობის ამაღლებას და კერძო კაპიტალის მემკვიდრეობით ახალი ტექნოლოგიების დანერგვას.

1996 წლის მეორე ნახევარში დაიწყო სპეციალიზირებული ფულადი აუქციონები. მათი მთავარი ნაკლი მდგომარეობდა იმაში, რომ აქციების სასტარტო ფასი ნომინალური ღირებულების 150 პროცენტს შე-

ადგენდა. რაც აფერხებს პრივატიზირებას ამ აქციების ნაკლებად მიმზიდველობის გამო, დღესდღეობით ჩატარდა 20 ასეთი ტიპის აუქციონი, პირველ თექვსმეტ აუქციონზე გაყიდულ იქნა აუქციონებზე გამოტანილი აქციების დაახლოებით 7-8 პროცენტი.

ჩვენის აზრით, მნიშვნელოვანი შედეგები აქვთ ნულოვან აუქციონებს. პირველი აუქციონები 20-31 ივლისს ჩატარდა, ისინი საშუალებას იძლეოდნენ, რომ აუქციონზე გამოტანილი საწარმოები შექმნილ ყოფილიყვნენ საქართველოს ან საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ, რომელთა საწესდებო კაპიტალში საქართველოს სახელმწიფო ორგანოების მონაწილეობის წილი შეადგენდა 25 პროცენტზე ნაკლებს. აუქციონზე თანხის შეტანა შეიძლებოდა როგორც ნაღდი ასევე უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით. ნაღდი ფულის მიღება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ხდებოდა მხოლოდ ეროვნული ბანკის მიერ უფლებამოსილ საბანკო დაწესებულებებში და ფილიალებში. უნაღდო ფულის ჩარიცხვა ხდებოდა ეროვნული ბანკის საოპერაციო სამმართველოში პრივატიზაციის სპეციალურ სატრანზიტო ანგარიშზე, თანხის გადამხდელს ეძლეოდა ქვითარი, რომლის მემკვიდრეობითაც დასტურდებოდა მისი მონაწილეობა აუქციონში. თითოეული სააქციო საზოგადოების მიხედვით გასაყიდად გამოტანილი აქციების რაოდენობა განაწილდა ამ აქციების შექმნის მიზნით ყოველი ცალკეულად გადახდილი თანხის პროპორციულად. ნულოვანი აუქციონის შედეგები საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს მიერ დამტკიცებულ იქნა 1997 წლის 9

სექტემბერს. ამ აუქციონებში ვაჭრობა იწყებოდა ნოლიდან, აუქციონზე გამოტანილი იყო 265 სანარმო, 63912433 აქციით, რომელიც საშუალოდ აუქციონებზე გამოტანილი თითოეული სანარმოს სანესდებო კაპიტალის 60 პროცენტს შეადგენდა, გაიყიდა ყველა სანარმო, სახელმწიფოს შემოუვიდა 5439403 ლარი. ამ აუქციონის უპირატესობები ის არის, რომ სანარმო შეიძლება შეიძინოს ყოფილი-

პირველმა ნულოვანმა აუქციონმა მეტად მნიშვნელოვანი შედეგები გამოიღო, გაიყიდა მასზე გამოტანილი ყველა სანარმო და ბიუჯეტში შევიდა 5 მილიონ ლარზე მეტი თანხა

ყო ნებისმიერი თანხით და მართლაც, ჩვენი მონაცემებით ერთ-ერთი სანარმო გაიყიდა 250 ლარად. პრივატიზაციის ასეთი ფორმის გამოყენება მნიშვნელოვანია, რამეთუ, ის სანარმოები, რომლებიც სახელმწიფოს ტვირთად აწვადეს კერძო მესაკუთრის ხელში და ის იზრუნებს მის ეფექტურად ფუნქციონირებაზე. ასეთი ნულოვანი აუქციონების ჩატარება მოსალოდნელია შემდგომშიც.

1996 წლისათვის პრივატიზაციაში მონაწილეობა მიიღეს სოლიდურმა უცხოურმა ფირმებმა, საინვესტიციო კომპანიებმა და ერთობლივი კაპიტალის მქონე იურიდიული სტატუსის მქონე სხვადასხვა იურიდიულმა ერთეულებმა. მაგალითად, „ჯორჯიან გლას ენდ მინერალ ვოთერ კომპანიმ“ შეიძინა ბორჯომის მინის ტარის აქციები, საინვესტიციო კომპანიამ „ჯი-აი-ეი“ განათავსა თავის კაპიტალი ნავთპროდუქტების, სამშენებლო, კვების მრეწველობის და ტურიზმის ობიექტებში ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში, „იმპერიალ თრეიდ ლიმიტედმა“ - სააქციო საზოგადოება „ცუმში“ დააბანდა კაპიტალი, „მარტინ ბაუერმა“ კაპიტალი განათავსა ჩაის მრეწველობაში. უცხოურმა კომპანიებმა თავიანთი კაპიტალი ძირითადად დააბანდეს ვაუჩერების საშუალებით, მათ შეიძინეს საბარათო აუქციონებზე გამოტანილი აქციების 20 პროცენტი, უცხოელთა სრული წილი საშუალო და მსხვილი სანარმოების შესყიდვაში დაახლოებით ოთხი პროცენტია, რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია. იგი რამდენჯერმე ნაკლებია უნგრეთის, ესტონეთის, ჩეხეთის და სხვა აღმოსავლეთ ევროპის თუ ზოგიერთი პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების მაჩვენებლებზე.

1997 წელს კი ჩვენი მონაცემებით პრივატიზებად სანარმოებში უცხოელი ინვესტორების მიერ დაბანდებული თანხები მეტად მცირეა, რაც ფრიად შემამოფოთებელია. სამწუხაროდ, ზუსტი მონაცემები ამ თანხების შესახებ არ გაგვაჩნია, თუმცა ბოლო დროს იმედს იძლევა კავკასიის საინვესტიციო ფონდის ჩამოყალიბება, რომლის საწესდებო კაპიტალი 45 მილიონი დოლარი იქნება და ქვეყანაში უცხოური კაპიტალის მოდინებას შეუწყობს ხელს.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი სანარმო პრივატიზაციას არ ექვემდებარება, ისინი სახელმწიფოსა-

თვის სტრატეგიულ ობიექტებს წარმოადგენენ, ეს ობიექტები განსაზღვრულია 1997 წლის 30 მაისს ძალაში შესული „საქართველოს კანონი-სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“- მეოთხე მუხლის თანახმად და საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად. ეს ობიექტები ძირითადად წარმოადგენენ ძალოვანი სტრუქტურების მოთხოვნილებების დამაკმაყოფილებელ სანარმოებსა თუ შენობა-ნაგებობებს

და კულტურისა და მეცნიერების აკადემიის სტრუქტურაში შემავალ ობიექტებს.

ასეთი ობიექტების რიცხვში აგრეთვე შედიან სახელმწიფო არქივები, საჰაერო და საზღვაო სივრცე, საზღვაო აკვატორია, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რკინიგზა, გაზის მაგისტრალური მილსადენი, სიხშირეთა სპექტრი, სახელმწიფო საფოსტო კავშირი და კავშირგაბმულობის სამინისტროს რიგი ობიექტები, სახელმწიფო სასაფლაოები და პანთეონები, სახელმწიფო წყალსადენი და საკანალიზაციო მეურნეობები, სახელმწიფო ორგანოთა ადმინისტრაციული ობიექტები.

ჯერ კიდევ 1997 წლის 31 აგვისტომდე ამ სიაში შედიოდა 51 ეკონომიკურად სტრატეგიული სანარმო, რომელთა საკონტროლო პაკეტს სახელმწიფო ფლობდა. ეს ყოველად გაუმართლებელი სიტუაცია განმუხტა პრეზიდენტის ბრძანებულებამ, რომელმაც გააუქმა ამ სანარმოთა ნუსხა და დაუშვა მათი პრივატიზების შესაძლებლობა, თუმცა ამ სანარმოთაგან ჯერ კიდევ არცერთი სანარმო არ არის პრივატიზებული, საჭიროა მათი სასწრაფო განსახელმწიფოებრიობა. იმის გამო რომ ისინი ძირითადად არიან სამრეწველო გიგანტები, მათი პრივატიზება მნიშვნელოვანწილად ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას, უმუშევრობის შემცირებას და ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა კეთილდღეობის ამაღლებას. ჩვენი აზრით, საჭიროა სტრატეგიულ სანარმოთა რიცხვის მინიმუმამდე დაყვანა. მაგალითად, კომუნალურ სანარმოთა პრივატიზება, რადგან სახელმწიფოს საკუთრებაში ნებისმიერი სანარმო უფრო ნაკლებად ეფექტურია ვიდრე კერძო პირის ხელში. გარდა ამისა, უნდა გამოინახოს ამ სანარმოებისათვის მენეჯმენტის განსხვავებული ფორმები. სახელმწიფომ მის საკუთრებაში არსებული სანარმოები უნდა გადასცეს სამართავად კერძო სტრუქტურებს, რაც უზრუნველყოფს მათ ეფექტურ მუშაობას. რა თქმა უნდა, ჩვენ აქ არ გვაქვს საუბარი სამხედრო დანიშნულების ობიექტებზე.

სახელმწიფოს ხელში დარჩენილი სანარმოების მართვის გადაცემის უფლების გაცემის მექანიზმი 1997 წლის 8 სექტემბერს №1-3/ 548 ბრძანებით შეიმუშავა ქონების მართვის სამინისტრომ, მას ეწოდება „დებულება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების მართვის უფლების კონკურსის ფორმით გადაცემის ფორმის შესახებ“ და იგი შემუშავებულია არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. კონკურსის ჩატარების შემთხვევაში სამინისტროს მიზანია სააქციო საზოგადოების წესდებით გათვა-

ლისწინებულ ამოცანების რეალიზაციის ხელშეწყობა და მართვის ეფექტურობის ამაღლება. სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული აქციების მართვის უფლების კონკურსით გადაცემის საკითხის განხილვას და მის ჩატარებას ახორციელებს მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც იქმნება ქონების მართვის, ეკონომიკის, შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების, აგრეთვე სახელმწიფო კანცელარიის წარმომადგენლების მიერ. მართვის უფლება შეიძლება გადაეცეს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს. კომისია აქვეყნებს ინფორმაციას კონკურსზე გასატანი ობიექტების შესახებ, აგრეთვე კონკურსის პირობების შესახებ, კონკურსის განაცხადში უნდა აისახოს დაგეგმილი საინვესტიციო პროგრამა, რომელიც აამაღლებს ამ სააქციო საზოგადოების ეფექტურობას და უნდა იქნეს მოცემული საბანკო-საფინანსო გარანტიები. გამარჯვებულად ითვლება ის, ვინც წამოაყენებს ყველაზე კარგ წინადადებას, რომელიც აკმაყოფილებს კონკურსის პირობებს. მათი დაუცველობის შემთხვევაში სახელმწიფო ქონების მართვის უფლების მქონე პირს ჩამოერთმევა ეს უფლება და არ აუნაზღაურდება მის მიერ გაწეული დანახარჯები.

საქართველოში ბევრი საწარმო იმდენად არაეფექტურია, რომ მისი ყიდვა ან უფასოდ შექენაც კი არაგის სურს, ამ სახელმწიფო საწარმოთა საპრივატიზაციოდ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ქონების მართვის სამინისტროში შექმნილია „საწარმოთა რეორგანიზაცია-რესტრუქტურისაციის კომისია“, რომელიც ამზადებს კონკრეტული საწარმოების რეორგანიზაცია-რესტრუქტურისაციის პროექტებს, რაც ძირითადად საწარმოთა ვალუების რესტრუქტურისაციაში, მათ დაშლასა და ნაწილ-ნაწილ პრივატიზაციაში მდგომარეობს. რესტრუქტურისაცია ჩაუტარდა მრავალ საწარმოს მათ შორის „საქენერგოს“, „საქგაზს“. მოხდა მათი სტრუქტურების დივერსიფიკაცია და ისინი მზად არიან პრივატიზაციისათვის. პროგრამა აგრეთვე ითვალისწინებს საწარმოთა პოსტპრივატიზაციულ მეურვეობას, რომელიც ხორციელდება მსოფლიო ბანკის და TACIS-ის უშუალო ხელმძღვანელობით და დახმარებით

პრივატიზებულ საწარმოთა 40-45 პროცენტი უმოქმედოა*

* - მონაცემები აღებულია წიგნიდან „საქართველოს სახელმწიფო ქონების პრივატიზების საკითხები“

და ბოლოს, ფრიად მნიშვნელოვანია განვიხილოთ ის მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა საწარმოთა პრივატიზაციის შემდეგ. უნდა აღინიშნოს, რომ პრივატიზირებულ საწარმოთა 40-45% უმოქმედოა, ეს გამოწვეულია, ერთის მხრივ, გამოცდილების უქონლობის გამო საწარმოების მესაკუთრეთა უუნარობით სწორად აწარმოონ სამენარმოე საქმიანობა, აგ-

რეთვე პრივატიზირებულ საწარმოთა მიერ საბრუნავი საშუალებების უქონლობით, რაც გამოწვეულია მაღალი საპროცენტო განაკვეთებით, რათა წარმოების ამოქმედებას მიეცეს პირველი იმპულსი; მეორეს მხრივ, ამის მიზეზია სოციალისტური წყობის დროს შექმნილ საწარმოთა არასწორი, არაეფექტური, არაეკონომიკური დაგეგმვა და განლაგება. თუმცა, ჩვენის აზრით, ეს დროებითი მოვლენაა. საბაზრო მექანიზმი თავად მოახდენს ამ ქონების უფრო რაციონალურად გადანაწილებას, რისი მიზეზიც არის ის რომ, კერძო საწარმოები უკეთ ახდენენ ორიენტაციას ბაზარზე და უფრო სიცოცხლისუნარიანნი არიან. საბაზრო მექანიზმის უფრო სწრაფად და ეფექტურად გამოსაყენებლად საჭიროა ამოქმედდეს კანონი გაკოტრების შესახებ, რომელიც, შეიძლება ითქვას, დღესდღეობით საერთოდ არ გამოიყენება. ეს გამოიწვევს წამგებიანი და უმოქმედოდ მყოფი საწარმოების ბანკოტად გამოცხადებას, რის შედეგადაც მოხდება ამ საწარმოთა გაყიდვა და სახელმწიფოსა და კერძო სექტორის მიმართ მათი ვალდებულებების დაფარვა. მაკროეკონომიკური თვალსაზრისით მეორადი გადანაწილება მეტად სასარგებლოა, რადგან ჯერ ერთი დაიფარება სახელმწიფოსადმი დავალიანება და შეივსება სახელმწიფო ბიუჯეტი, მეორეს მხრივ კი იგი ხელს შეუწყობს ამ საწარმოთა უფრო ეფექტურ ამოქმედებას და ახალ მესაკუთრეთა მიერ ქვეყანაში ინვესტიციების კიდევ ერთი ნაკადის მოზიდვას. ეს პროცესი შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს, ვიდრე წამგებიან საწარმოს არ შეიძენს ისეთი პიროვნება, რომელიც ბოლოსდაბოლოს მოახდენს მის მომგებიან სამეურნეო ერთეულად ქცევას. ქვეყნისათვის ამ გზით ქონების გადანაწილებას მხოლოდ სარგებელი მოაქვს და ეკონომიკაში კონკურენციული გარემოს გამძაფრებას იწვევს, რაც თავის მხრივ ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური ზრდის საწინდარია.

პრივატიზებულ საწარმოებში მიმდინარე პროცესების საერთო ტენდენცია ის არის, რომ მოხდა ზედმეტი მუშა ხელის განთავისუფლება და წარმოების უფრო ეფექტურად ამუშავება, რადგან საბაზრო მექანიზმისთვის უცხოა გაბერილი შტატები და საერთოდ, შრომითი თუ მატერიალური რესურსების არაეფექტური გამოყენება, რაც ესოდენ დამახასიათებელი იყო გეგმიური ეკონომიკისათვის. შემცირდა დანახარჯები წარმოებულ პროდუქციის ერთეულზე და გაიზარდა მოგება, რაც მთავარია რეალურად ამუშავდა საწარმოები და დასაქმდა ხალხი, გაიზარდა შემოსავალი ერთ მომუშავე ადამიანზე, რამაც თავის მხრივ მულტიპლიკატორის მაგვარი ზემოქმედება მოახდინა ეკონომიკაზე და შექმნა დამატებითი სამუშაო ადგილები პრივატიზირებულ საწარმოებთან დაკავშირებულ საწარმოებში და მთლიანად ეკონომიკაში.

პრივატიზაციის მთავარი შედეგი ჩვენს ქვეყანაში არის კერძო მესაკუთრის ინსტიტუტის შექმნა და ქო-

ნების განსახელმწიფობრიობა, რამაც უკვე 1996 წელს თავის შედეგი გამოიღო და ქვეყნის მშპ-ის 11%-ით ზრდის მთავარი მიზეზი გახდა, რადგან კერძო სექტორის წილი მშპ-ში 80%-ს შეადგენს. მიუხედავად გარკვეული დადებითი შედეგების მიღწევისა, საჭიროა ჯერ კიდევ სახელმწიფოს ხელში მყოფი საწარმოების პრივატიზაცია, რადგან ამ ყოვლად არამომგებიანმა ეკონომიკურმა ტვირთმა არ შეაფე-

რხოს ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და კერძო მესაკუთრის ინსტიტუტის შექმნამ ხელი შეუწყოს საქართველოს ეკონომიკურ აღმავლობას.

ბრიგოლ ფანცულაია
ეკონომისტი

კონსტანტინე ბარათაშვილი
ეკონომისტი